ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების პროცესში ადგილი არ ჰქონია კონსულტაციის მიღებას.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ამირან დევამე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- აპრილი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილისა და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 190020030.35.134.016185. 17/12/2015) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გეგმის ცვლილების ცნობა, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1):

ა) მე-2 მუხლი „მე-2“ და „მე-3“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ბრძანების შესაბამისად.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) უფლებამოსილია განხორციელოს ცვლილებები (პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) პროგრამულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად“.

ბ) მე-3 მუხლი „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე მერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მერს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და მერის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. მერის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება მერის ბრძანებით), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტითა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. მერის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.“

3. დადგენილებით დამტკიცებული „დანართი №2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „___“ _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის,
ქვეპროგრამისა და პროგრამულ კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „___“ _____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

პროგრამული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, მხარჯავი დაწესებულება, პროგრამა, ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათშორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება
2. სარეზერვო ფონდი
3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

პასუხისმგებელი შემსრულებელი:

მუხლი 2.

ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აპრილის №12 (ვებგვერდი 12/04/2018, სარეგისტრაციო კოდი:190020030.35.134.016256) დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში განხორციელებული ცვლილებები აღმასრულებელი ორგანოს დასახელებასთან მიმართებაში, ასევე 2018 წლის 30 მარტის №01-06/05 მორიგ სხდომაზე საკრებულოს მიერ მიღებული „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის გაფორმებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ აქტის მიღების თარიღად მითითებული იქნა 2018 წლის 03 აპრილი, რაც წარმოადგენს სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ნორმატიული აქტის მიღების მიზანს ასევე წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აპრილის №12 დადგენილების მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტში (დადგენილება) შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილების მე-2 მუხლში, დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „მე-2“ პუნქტში, მე-3 მუხლის „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტებში ცვლილებების შეტანა, ასევე დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გეგმის ცვლილების ცნობა, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1):

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის :

ა) მე-2 მუხლი „მე-2“ და „მე-3“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ბრძანების შესაბამისად.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) უფლებამოსილია განხორციელოს ცვლილებები (პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) პროგრამულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად“.

ბ) მე-3 მუხლი „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე მერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მერს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და მერის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. მერის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება მერის ბრძანებით), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტითა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. მერის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.“

2. დადგენილებით დამტკიცებული „დანართი №2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „___“ _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის,
ქვეპროგრამისა და პროგრამულ კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „___“ _____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

პროგრამული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, მხარჯავი დაწესებულება, პროგრამა, ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათშორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება

2. სარეზერვო ფონდი

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების
აღსრულების ფონდი

4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

პასუხიძეგებელი შემსრულებელი:

ხოლო ამავე დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებს „ქედის მუნიციპალიტეტის
ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აპრილის №12 დადგენილების ბათილად ცნობას.

დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №
2018 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილისა და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016186, 17/12/2015) შევიდეს შემდეგი ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტის „ვ“, „თ“, „თ¹“ და „თ²“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;“

„თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი;“

„თ¹) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით განიხილოს „ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №318 დადგენილებიდან გამომდინარე სახელმწიფო პროგრამით სარგებლობით დაინტერესებული პირის განცხადება;“

„თ²) განიხილოს, აკმაყოფილებს თუ არა დაინტერესებული პირის განცხადება და მასზე დართული დოკუმენტაცია სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დასახლების საერთო კრება ადასტურებს დაინტერესებული პირის მიერ უძრავი ნივთის ფაქტობრივად ფლობას და შესაბამის წინადადებას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს, სააგენტოსადმი შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დასახლების საერთო კრება საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირებიდან ერთი თვის ვადაში. განსაზღვრულ ვადაში მუნიციპალიტეტის მერისათვის შესაბამისი წინადადების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობა საკითხის განხილვის გაგრძელებაზე უარის თქმად ჩაითვლება;“

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი

1. საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ :

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%- ს ;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით ;

გ) საერთო კრების რჩეულს .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არა ნაკლებ 3 ამომრჩეველის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში). განცხადებას თან უნდა ერთოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხები საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს.

3. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის მერია. საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობისა და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია და საერთო კრების დღის წესრიგი ქვეყნდება ან ცხადდება საჯაროდ .

5. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები ან / და საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა - გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ან / და საერთო კრების უფლებამოსილებას.

6. საინიციატივო ჯგუფის წევრს უფლება აქვს, რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი გაასაჩივროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.“

7. საინიციატივო ჯგუფი საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა . სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი .

8. რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის ამ დებულებით განსაზღვრული წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები.“

9. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის მე -8 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე -15 დღე .

10. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობის მიღების შემთხვევაში. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ დებულებისა და კანონის მოთხოვნები. რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

11. საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ამ დებულების შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში .

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება ამ მუხლის მე-8 – მე-11 პუნქტებით განსაზღვრული წესით, გარდა საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის წარდგენის პროცედურისა.“

13. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიცირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი.“

14. მუნიციპალიტეტის მერი, სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირის განცხადების შემთხვევაში უზრუნველყოფს დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირებას ამ მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.“

15. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არა ნაკლებ 2-ჯერ.“

16. საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში).“

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ისა . საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი , რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა .

2. საერთო კრების ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საინიციატივო ჯგუფის ის წევრი, რომლის ხელმოწერაც შესაბამის განცხადებაში პირველია მითითებული, ხოლო მისი არყოფნისას –

საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრი ან საინიციატივო ჯგუფის თანხმობით – მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. საერთო კრების ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საერთო კრების რჩეული.

3. საერთო კრების ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საერთო კრების მდივანი. ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საერთო კრების რჩეული ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად , დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა.

„5. საერთო კრებაზე დგება საერთო კრების ოქმი. საერთო კრების ოქმში მითითებული უნდა იქნას საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, საერთო კრების მიერ განხილული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება, საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. საერთო კრების ოქმს ხელს აწერენ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირები. საერთო კრების ოქმის ასლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი საერთო კრების გამართვიდან 7 დღის ვადაში.“

მუხლი 2.

ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „ ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აპრილის №11 (გებგვერდი 12/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016255) დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში განხორციელებული ცვლილებები აღმასრულებელი ორგანოს დასახელებასთან მიმართებაში, ასევე 2018 წლის 30 მარტის №01-06/05 მორიგ სხდომაზე საკრებულოს მიერ მიღებული „ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის გაფორმებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ აქტის მიღების თარიღად მითითებული იქნა 2018 წლის 03 აპრილი, რაც წარმოადგენს სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - ტერმინოლოგიური კუთხით შესაბამისობაში მოყვანა.

ასევე მისი ძალაში შესვლის დღიდან „ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აპრილის №11 (ვებგვერდი 12/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016255) დადგენილების ბათილა ცნობა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტში (დადგენილება) შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებით დამტკიცებულ დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტის „ვ“, „თ“, „თ1“ და „თ2“ ქვეპუნქტებში, მე-4 და მე-5 მუხლებში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, (იხ. დადგენილების პროექტი) აღნიშნული ცვლილებებით ძირითადად განხორციელდა დაწესებულებისა და მისი ხელმძღვანელის დასახელების „გამგეობა“- „გამგებელი“ შეცვლა „მერია“ - „მერი“-ით.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

**2018 წლის -- აპრილი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში
განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2017 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს.

3. დანართი №1 წარმოდგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი

წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის შესყიდვების გეგმის
ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 6435899 ლარი.

ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული იქნა მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები კერძოდ: მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, რეკომენდაცია ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით, რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე, მეთოდური მითითებები საამშენებლო პროექტების შედგენასთან დაკავშირებით, მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის და სხვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესყიდვების განყოფილების და სატენდერო კომისიის მიერ დაიხვეწა შესყიდვების განხორციელებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისა და შესყიდვების განხორციელების მეთოდოლოგია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გაფორმებული იქნა სულ 270 ხელშეკრულება სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 6245855 ლარი. აქედან ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 5876722 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით 82460 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 286673 ლარი სადანაც სააგენტოდან მიღებული ნებართვით გაფორმდა 252 797 ლარის ხელშეკრულება ხოლო მონეტარული ზღვრების დაცვით გახარჯული იქნა 33876 ლარი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა: „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები 135300 ლარის ფარგლებში. ექსკლუზიური უფლებამოსილებით - ადმინისტრაციული შენობის

დაცვა -69600 ლარი და „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2016-2017“-ის ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში -2960 ლარი.

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ იქნა 162 ელექტრონული ტენდერი. აქედან არ შედგა, შეწყვეტილი იქნა და უარყოფითად დასრულდა 18 ტენდერი. აღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული შესყიდვების განსახორციელებლად განმეორებით იქნა გამოცხადებული ტენდერები, და შესაბამისად შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად იქნა განხორციელებული. გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 6678740 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 5876722 ლარი შეადგინა შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში ტენდერების საშუალებით ეკონომია გაკეთდა და დაზოგილ იქნა 802000 ლარი.

ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი 4997582 ლარი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა: სოციალური სახლის მშენებლობა 436046 ლარი; ზუნდაგის ბაგა-ბაღის მშენებლობა 760564 ლარი, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები-618742 ლარი, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა-605312 ლარი, აწვევის დასახლების კეთილმოწყობა 698000 ლარი, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა -1113102 ლარი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება 229120 ლარი, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა-99111 ლარი - შეკეთდა მინი სპორტული მოედნები, ამბულატორიები და სხვა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შესყიდვები განხორციელდა: სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფად სახელშეკრულებო ღირებულებით 16707 ლარზე, რითაც ისარგებლა 26-მა ბენეფიციარმა. ეპილექსიით დაავადებულთათვის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფად სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 20150 ლარი. „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გაიხარჯა სულ 135300 ლარი, შეჭირვებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნით შესყიდული იქნა 47000 ლარის ღირებულების სახურავის თუნუქი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად ხდება შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და სააგენტოსათვის წარდგენა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ დასახვეწია ზოგიერთი ანგარიშის, როგორიცაა მიღება-ჩაბარების აქტების ვადების დაცვით მომზადების და ერთიანი ელექტრონული სისტემაში დროულად წარდგენის საკითხი.

შესყიდვების განხორციელებაში კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება სახელმწიფო შესყიდვებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების სეზონურად გადანაწილების საკითხი, წლის ბოლო პერიოდში განხორციელებული შესყიდვები, განსაკუთრებით სამუშაოები გამომდინარე კლიმატური პირობებიდან რისკის ქვეშ აყენებს ვადებში მის შესრულებას, რის გამოც გარკვეულწილად ჭიანჭურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და ადგილი აქვს სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტებს. გასულ წელს აღნიშნული მიზეზით 12 ობიექტი წლის ბოლომდე ვერ დასრულდა მიმწოდებლებზე გავრცელდა საჯარიმო სანქციები და დადებული ხელშეკრულების ვადები გაგრძელდა 2018 წლისთვის.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულების და ზესოფლისთვის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ ინიცირებული წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულების და ზესოფლისთვის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

2. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან დევამე) ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

2016 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოიყო 550 000 ლარი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულების და ზესოფლისთვის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. სამშენებლო სამუშაოებს 2016 წლის 26 თებერვლის №25 ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია - შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“. ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულდა 2016 წლის 25 ნოემბერს, რაზედაც გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და მოხდა სრულყოფილი ანგარიშსწორება. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ სამშენებლო სამუშაოები არ შესრულებულა პროექტის შესაბამისად, რის გამოც მაგისტრალი დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს.

აღნიშნულ პროექტზე საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-
ნაგებობებზე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო
სამუშაოების მიმღები კომისიის
ა ქ ტ ი

დაბა ქედა

9 დეკემბერი 2016 წ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულეზის და ზესოფლისთვის
სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა
(ობიექტის დასახელება)

მიმღები კომისია დანიშნულია გადაწყვეტილებით (ბრძანებით, დადგენილებით)

5 აგვისტო 2016 წელი

№702

ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი

(კომისიის დამნიშნელი ორგანიზაციის დასახელება)

შემადგენლობით:

1) კომისიის თავმჯდომარე - მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე
გურამ ბერიძე

2) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მუნიციპალიტეტის გამგებლის სივრცითი
მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი - კონსტანტინე
გუმბერიძე

კომისიის წევრები: 3) მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე, 4) მუნიციპალიტეტის გამგებლის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მთავარი
სპეციალისტი - გულადი წითელაძე, 5) მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის
სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ტარიელ თურმანიძე 6) ქედის მუნიციპალიტეტის
გამგებლის წარმომადგენელი დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში - ვაჟა აბულაძე, 7)
ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ზვარის ადმინისტრაციულ
ერთეულში - ამირან ჯაბინძე

1. ქედის მუნიციპალიტეტი

(შემსყიდველი ორგანიზაცია)

შემსყიდველს, ქედის მუნიციპალიტეტს მისაღებად წარედგინა: ქედის
მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულეზის და ზესოფლისთვის სასმელი
წყლის წყალსადენის მშენებლობა

მისამართზე: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გულები, სოფელი ხუნკუდა, სოფელი ზესოფელი

2. შესრულებული სამუშაოს სახეობები: წარმოდგენილია ფორმა №2-ს მიხედვით

3. მშენებლობა განხორციელებულია (ბრძანების, გადაწყვეტილების, ხელშეკრულების) საფუძველზე.

2016 წლის 26 თებერვლის №25 ხელშეკრულების შესაბამისად ელექტრონული ტენდერით
(ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული შესყიდვა)

4. ანგარიშსწორება უნაღდო; ზედნადები ხარჯები დარიცხულია 9228,82
(ცხრაათასორასოცდარვა ლარი და 82 თეთრი) ლარი.
I ტრანშით ჩაერიცხა 116 330,30 ლარი
II ტრანშით ჩაერიცხა 156 566,75 ლარი
III ტრანშით ჩაერიცხა 145 839,32 ლარი

5. მიმწოდებელი ორგანიზაცია: შპს: „უნივერსალ ჯორჯია 2008“

6. (სამშენებლო, სარეკონსტრუქციო) სარემონტო სამუშაოების საპროექტო ღირებულება შეადგენს: 669 171 ლარს.

7. სახელშეკრულებლო ღირებულება შეადგენს: 549 999 ლარს.

8. შესრულებული სამუშაოების აქტი წარმოდგენილია: 131 261,24 ლარზე

9. მისაღებ ობიექტზე არსებული შენიშვნები: არ არის

10. მიმწოდებელს მიეცა ვადა შენიშვნის გამოსასწორებლად

11. სახელშეკრულებლო პირობები: შესრულდა


12. სამშენებლო ობიექტის მდგომარეობა -- დასრულებულია
(დასრულებულია, დაუსრულებელი)

13. კომისიამ გადაწყვიტა, რომ

წარმოდგენილი (სამშენებლო სარეკონსტრუქციო) სარემონტო სამუშაოები: --
ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ხუნკუდის, გულების და ზესოფლისთვის
სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობაზე


შესრულებული სამუშაოები მიღებული იქნას დამაკმაყოფილებლად
(ობიექტის დასახელება)

მიმღები კომისიის თავმჯდომარე




გ. ბერიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე




კ. გუმბერიძე


კომისიის წევრები




ს. ბოლქვაძე




გ. წითელაძე



ტ. თურმანიძე



ვ. აბულაძე



ა. ჯაბანიძე

შპს: „უნივერსალ ჯორჯია 2008“- ის დირექტორი:



ე. ჩიტაძე









